

„ოლამის“ რეგიონული საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება

მდებარეობა:

რეგიონული

პროექტის ნომერი:

51526

ბიზნესის სექტორი:

აგრობიზნესი

შეტყობინების ტიპი:

კონფიდენციალური

გარემოს დაცვის კატეგორია:

B

დამტკიცების თარიღი:

22 ივლისი, 2020 წელი

სტატუსი:

კონცეფცია განხილულია

პროექტის მოკლე ანოტაციის ინგლისურად

გამოქვეყნების თარიღი:

17 ივნისი, 2020 წელი

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის III ნაწილის 2.6 პუნქტის მიხედვით, ამ პროექტის მოკლე ანოტაციის გამოქვეყნება გადაიღო ინფორმაციაზე წვდომის დირექტივის 1.4.4 პუნქტის შესაბამისად

პროექტის აღწერა

შპს „ოლამ ინტერნეიშენალისათვის“ („ოლამი“ ან კომპანია) 200 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხის გამოყოფა, კომპანიის საბრუნავი კაპიტალის საჭიროებების სტაბილური დაფინანსების უზრუნველსაყოფად თურქეთში, ეგვიპტეში, საქართველოში, პოლონეთსა და უკრაინაში („პროექტის ქვეყნები“).

პროექტის მიზნები

სესხი გამოყენებული იქნება ამ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო საქონლის, როგორცაა კაკლის, მარცვლეულის, რძის პროდუქტებისა და გამომშრალი

ბოსტნეულის მიღების, გადამამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების დასაფინანსებლად.

შუალედური შედეგი

მოსალოდნელი შუალედური შედეგის ქულა: 63

შუალედური შედეგი გამომდინარეობს შემდეგი ორი შუალედური ფაქტორისგან:

- კონკურენტუნარიანი (პირველადი): კომპანია შერჩეულ ღირებულების ქსელებს დაამატებს ახალ მომწოდებელთა მნიშვნელოვან რაოდენობას ქვეყნებში, სადაც EBRD მუშაობს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კულტურების მოსავლის ხარისხის გაუმჯობესებას, თხილისა და ხახვის ჩათვლით, მომწოდებლებთან უკეთესი კავშირების დამყარებასა და გარემოს დაცვისა და სოციალური სტანდარტების გაუმჯობესებას. ეს განავითარებს და გააფართოებს „ოლამის“ მიერ EBRD-თან ერთად წინა პროექტის ფარგლებში მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვაში ფერმერთა დახმარების საქმეში მიღწეულ წარმატებას.
- კარგად მართული (მეორადი): „ოლამი“ და EBRD ჩაერთვებიან მაღალი დონის დიალოგში, კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის. ეს ერთობლივი ძალისხმევა ყურადღებას გაამახვილებს (i) კლიმატის ცვლილების სცენარების ბიზნეს სტრატეგიაში ინტეგრირებაზე, პრიორიტეტული ღირებულების ჯაჭვების მდგრადობაზე გამოცდის გზით, კლიმატის ცვლილების სხვადასხვა სცენარის ფარგლებში, იმ ქვეყნებში, სადაც EBRD მუშაობს (ii) კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და მართვის პრაქტიკის დამტკიცებაზე, (iii) კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების პრაქტიკის დამტკიცებაზე.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

შპს „ოლამ ინთერნეიშენალი“

შპს „ოლამ ინთერნეიშენალი“, რომელიც დაარსებულია სინგაპურში, არის წამყვანი გლობალური საკვების და აგრარული ბიზნესის საწარმო, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ათასობით მომხმარებელს აწვდის საკვებ ინგრედიენტებს, საკვებსა და ბოჭკოს. EBRD-ის თანხები მიეწოდება შპს „ოლამ ინთერნეიშენალს“ და მის შვილობილ კომპანიას შპს „Olam Treasury Pte“-ს. მსესხებლები ქვე-სესხის სახით თანხას გადასცემენ კომპანიის შვილობილ კომპანიებს საქართველოში, ეგვიპტეში, პოლონეთში, თურქეთსა და უკრაინაში. შპს „ოლამ ინთერნეიშენალს“ 53.4%-ით ფლობს „ტემასეკ ჰოლდინგი“ 17,4% -ით „მიცუბიში კორპორეიშენი“ 7% -ით „ქევალრამ ჩენრადი გრუპი“ და 6.3%-ით „ოლამ მენეჯმენტი“. დანარჩენ 15.9% -ს ფლობენ სხვა ინსტიტუციონალური ინვესტორები და საზოგადოება.

EBRD-ის დაფინანსების ჯამი
200,000,000.00 აშშ დოლარი

პროექტის მთლიანი ღირებულება
200,000,000.00 აშშ დოლარი

დამატებითი ფაქტორები

EBRD გთავაზობთ კლიმატის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების სფეროს ცოდნასა და გამოცდილებას, რაც არ არის ხელმისაწვდომი კომერციული ბანკების მხრიდან. EBRD-ის სესხი, ასევე, მხარს უჭერს კომპანიის დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციასა და საბრუნავი კაპიტალის საჭიროებებისთვის პროექტის ქვეყნებში ალტერნატიული დაფინანსების სტრუქტურას უზრუნველყოფს.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

პროექტს მინიჭებული აქვს B კატეგორია EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის (2019) შესაბამისად. წინა ტრანზაქციის ექსპერტიზის მეშვეობით, ცნობილია, რომ „ოლამ ინთერნეიშენალს“ აქვს პროგრესული მიდგომა მიწოდების ჯაჭვის მდგრადი მართვის მიმართ და მათი პროდუქტების გარკვეულმა რაოდენობამ მიიღო გარემოს დაცვის ან/და სოციალური სერტიფიკატი. ამასთან, „ოლამი“ მოწოდებულია შესაბამისობაში იყოს ბანკის მოთხოვნებთან.

სოფლის მეურნეობის საქონლის მიწოდების ჯაჭვის პოტენციური რისკების გათვალისწინებით, ამჟამად მიმდინარე ბანკის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების ექსპერტიზა ("ESDD") ჩაატარებს ინტერვიუებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯმენტთან, განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტებს და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა მიწოდების ჯაჭვის მართვა, არსებული გასაჩივრების მექანიზმები, შრომითი საკითხები, მდგრადი განვითარების სტანდარტები, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება და ნარჩენების მართვა.

პროექტის მოკლე ანოტაცია განახლდება გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების ექსპერტიზის შედეგების მიღების შემდეგ.

ტექნიკური თანამშრომლობა და საგრანტო დაფინანსება

პროექტს ექნება შემდეგი ტექნიკური თანამშრომლობის (TC) კომპონენტები:

- კლიმატის რისკებისა და შესაძლებლობების შეფასება ორ პრიორიტეტულ ღირებულების ჯაჭვში თურქეთსა და ეგვიპტეში, რომელიც დაფინანსებულია „ტაივანის ბიზნესი - EBRD-ის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის“ მიერ.
- ეგვიპტეში პრიორიტეტული ღირებულებითი ჯაჭვის ფერმერებისთვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება, რათა ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის პრაქტიკის გაუმჯობესებას და კლიმატის გამძლეობას, რომელიც დაფინანსებულია EU-EBRD-ის (ევროკავშირისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის) ვაჭრობისა და კონკურენციის პროგრამის მიერ.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ვენკატარამან კრიშნანი
k.venkat@olamnet.com
+6563394100
<http://olamgroup.com/>

პროექტის მოკლე ანოტაციის განახლების თარიღი

17 ივნისი, 2020 წელი

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებით EBRD-ის მიდგომაზე დეტალური ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია [აქ](#).

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე, გთხოვთ, დაუკავშირდეთ კლიენტ კომპანიას.

EBRD-ის პროექტთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის მისაღებად, რაც არ ეხება შესყიდვებს, გთხოვთ, ისარგებლოთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაციით: +44 20 7338 7168 ან

ელ-ფოსტა: projectenquiries@ebrd.com სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისათვის დაუკავშირდით EBRD-ის შესყიდვების დეპარტამენტს: +44 20 7338 6794 ელ-ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

სხვა საკითხებთან დაკავშირებით კონკრეტული შეკითხვების დასმა შესაძლებელია EBRD-ის მოთხოვნების ფორმის საშუალებით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ით და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოსთვის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და შესრულების მოთხოვნები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომელთა ფარგლებშიც კლიენტებმა უნდა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ; შექმნან გასაჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან კლიენტის ან პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ შესრულებასთან დაკავშირებული საჩივრების მიღების და მართვის მიზნით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკების ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გამოაქვეყნონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ გამომხაურებაზე.

დამატებითი ინფორმაცია ამ ქრილში EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP -ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის შესაბამისობის მთავარი ოფიცრის ოფისის (OCCO) საქმიანობის მიზანი კარგი მმართველობის და ბანკის საქმიანობის პროცესში პატიოსნების უმაღლესი სტანდარტების შესრულების ხელშეწყობაა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში, ტარდება წინასწარი ტექნიკური კვლევა, რომლის მიზანიც იმაში დარწმუნებაა, რომ პროექტი არ წარმოადგენს რეპუტაციულ და პრინციპულ რისკს ბანკისთვის. ბანკი თვლის, რომ პროექტის შეფასების ეტაპზე პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება, ყველაზე ეფექტური საშუალებაა ბანკის ტრანზაქციებში პატიოსნების სტანდარტების დასაცავად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და, ასევე, მონაწილეობას იღებს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგში.

OCCO, ასევე, პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიების პროცესზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ინდივიდმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩნდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს შესაბამისობის მთავარ ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე: compliance@ebrd.com. OCCO დაიწყებს მოკვლევას თითოეულ ანგარიშზე. განიხილება თითოეული, მათ შორის, ანონიმური წერილი. წერილი შეიძლება დაიწეროს EBRD-ის ნებისმიერ სამუშაო ენაზე ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც EBRD საქმიანობს. ბანკისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და აქციონერებთან კონსულტაციების ისეთი გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს EBRD-ის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრებას. ეწვიეთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის

გვერდს EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად.
კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის
მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

თუ გარემოს დაცვით, სოციალურ ან საჯაროდ გამოქვეყნების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის ფარგლებში საჩივრების მექანიზმის საშუალებით ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმს.

პროექტის ანგარიშვალდებულების მექანიზმი დამოუკიდებლად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს (ან შესაძლოა გამოიწვიონ) ზიანი. მექანიზმის მიზანია - ხელი შეუწყოს დიალოგს პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროდ გამოქვეყნების საკითხების გადასაჭრელად; დაადგინოს შეასრულა თუ არა ბანკმა თავისივე გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკა ან ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებული დებულებები; საჭიროების შემთხვევაში, გადაჭრას ხსენებული პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობა და თავიდან აიცილოს ბანკის შემდგომი პოტენციური შეუსაბამობები.

იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა შეიტანოთ საჩივარი კონფიდენციალური ონლაინ ფორმის საშუალებით, ელ-ფოსტით, ფოსტით ან ტელეფონით, ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს. ჩვენ განვიხილავთ თქვენ მიერ წამოჭრილ საკითხებს და ვუპასუხებთ შეკითხვებს, რომლებიც შეიძლება გქონდეთ საჩივრების შეტანის ან განკარგვის შესახებ. მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩლეების ვინაობის ანონიმურობა დაცული იქნება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ 2020 წელს, მექანიზმის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნის შემდეგ, ამოქმედდება პროექტის ანგარიშვალდებულების განახლებული პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს საქმის წარმოების პროცესს.

OFFICIAL USE

OFFICIAL USE